

AUDIT FIRM BAKASHILI AND COMPANY

ბაკაშილი და კომპანია
აუდიტორული ფირმა



შპს "პრემიუმ კლასი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 202 451 550

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად



საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი,
ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15



Morison KSi
Independent member

შპს “პრემიუმ კლას“

საიდენტიფიკაციო კოდი: 202 451 550

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	5
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	12
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	13
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	14
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	15-44

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პრემიუმ კლასის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ❖ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ❖ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ❖ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი მსს ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები;
- ❖ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ❖ კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ❖ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

- ❖ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ❖ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 22 ოქტომბერს.

[Handwritten signature]

დირექტორი

ლევან გორელაშვილი

22

მთავარი ბუღალტერი

ღალი მგალობლიშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „პრემიუმ კლასის“ (ს/კ 202 451 550) ხელმძღვანელობას.

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პრემიუმ კლასის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად არსებული გარემოებებისა, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2019 წლის 05 ნოემბერს და ამდენად, ჩვენ ვერ დავესწარიტ ფიზიკურად სასაქონლო - მატერიალური მარაგის ფიზიკურ გადათვლას და ალტერნატიული საშუალებებით ვერ შევძელით დარწმუნება, რომლის ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია 2'854 ათასი და 2'020 ათასი ლარით, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია 1'646 ათასი და 2'854 ათასი ლარით, შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება სასაქონლო-მატერიალურ მარაგთან და ასევე ფინანსური ანგარიშგებების სხვა შემადგენელ ელემენტებ-

თან დაკავშირებით. არსებითი ეფექტის გამო ჩვენი მოსაზრება მარაგების ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთებზე დარწმუნება, ღირებულებით 1'030 ათასი ლარი ალტერნატიული საშუალებებით შევძელით.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2019 წლის 05 ნოემბერს და ამდენად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ ვერ დავესწარიტ ფიზიკურად ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას და ალტერნატიული საშუალებებითაც ვერ შევძელით დარწმუნება, რომლის ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია 237 ათასი და 243 ათასი ლარით, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია 729 ათასი და 237 ათასი ლარით, შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითად საშუალებებთან და ასევე ფინანსური ანგარიშგებების სხვა შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით. არსებითი ეფექტის გამო ჩვენი მოსაზრება საშუალების ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაშთებზე დარწმუნება, ღირებულებით 690 ათასი ლარი ალტერნატიული საშუალებებით შევძელით.

ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული საშუალებით კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის შრომის ანაზღაურების განაკვეთის ოდენობაზე დარწმუნება, რომლის ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წელს ასახულია 77 ათასი ლარით და 2019 წელს - 94 ათასი ლარით, არსებითი ეფექტის გამო ჩვენი მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შრომის ანაზღაურებაზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წავმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

როგორც კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის ნაწილი, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შენიშვნა N2 მითითებული საფუძვლის შესაბამისად თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია, ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული და დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალკ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის, ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა სამომავლო მოვლენებმა, ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და კომპანიის შიდა ბიზნეს საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაგვლენთ.

ჩვენ ასევე გადავცემთ ხელმძღვანელობას ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ანგარიშს დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე ვაცნობთ ყველა სახის საკითხს, რომლებმაც შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს რატი ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-859169.

რატი ბაკაშვილი

შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს სახელით

საერთაშორისო აუდიტორული ქსელის „Morison Ksi“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

22 ოქტომბერი, 2020 წელი

ქ.თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (წმინდა)	6	690	729
არამატერიული აქტივები (წმინდა)	-	3	3
სულ გრძელვადიანი აქტივები		693	733
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	982	1 646
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	1 863	1 755
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	145	305
სულ მიმდინარე აქტივები		2 990	3 706
მთლიანი აქტივები		3 683	4 439
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	1	1
გაუნაწილებელი მოგება	-	1 503	1 863
სულ კაპიტალი		1 504	1 864
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	2 095	2 484
მიღებული ავანსები	-	18	-
საბიუჯეტო ვალდებულებები	8	66	91
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 179	2 575
სულ ვალდებულებები		2 179	2 575
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 683	4 439

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 ოქტომბერს.

დირექტორი :

ლევან გორელაშვილი

მთავარი ბუღალტერი :

ლალი მგალობლიშვილი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	7 020	7 547
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(4 353)	(4 397)
საერთო მოგება		2 667	3 150
საოპერაციო ხარჯი	13	(1 252)	(1 369)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	-	(1 401)	(1 388)
საგადასახადო ხარჯი	-	(7)	-
საოპერაციო მოგება		7	393
არასაოპერაციო შემოსავალი		34	8
არასაოპერაციო ხარჯი	14	(43)	(49)
ფინანსური შემოსავალი	15	541	564
ფინანსური ხარჯი	15	(834)	(585)
მოგება დაბეგვრამდე		(295)	331
მოგების გადასახადი		-	-
მოგება დაბეგვრის შემდგომ		(295)	331
სხვა სრული შემოსავალი		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
სრული შემოსავალი		(295)	331

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 ოქტომბერს.

დირექტორი :



ლევან გორელაშვილი

მთავარი ბუღალტერი :



ლალი მგალობლიშვილი

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1		ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
			1 694	1 695
გახსნილი კორექტირებები	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	331	331
დივიდენდი	-	-	(162)	(162)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	-	1 863	1 864
გახსნილი კორექტირებები	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	(295)	(295)
დივიდენდი	-	-	(65)	(65)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	-	1 503	1 504

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 ოქტომბერს.

დირექტორი :



ლევან გორელაშვილი

მთავარი ბუღალტერი :



ლალი მგალობლიშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ათასი ლარი	ათასი ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	7 316	5 069
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(5 750)	(3 764)
სხვა ხარჯები	(4)	(1)
სხვა შემოსავლები	2	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	1 563	1 304
გადახდილი პროცენტი	-	-
საბიუჯეტო გადასახდელები	(1 687)	(921)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(124)	383
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
გაცემული დივიდენდი	(60)	(155)
გაცემული სესხი	-	-
კაპიტალის ცვლილება	-	-
სესხის აღება	-	-
გასაგალი სესხის დასაფარად	-	-
მიღებული პროცენტები	17	13
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(43)	(142)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	(167)	241
კურსთა შორის სხვაობა	7	1
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	(160)	(154)
	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	305	63
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	145	305

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 ოქტომბერს.

დირექტორი :

ლევან გორელაშვილი

მთავარი ბუღალტერი :

ლალი მგალობლიშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს “პრემიუმ კლასის” (შემდეგში „კომპანია“) მცირე და საშუალო საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 18 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჭყონდიდელის ქ. N 87. „კომპანიის“ საიდენტიფიკაციო კოდი: 202 451 550.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა ასეთია:

მესაკუთრეები	31.12.2017	01.01.2017
ველიკან ინდასტრის ლიმიტიდ (513700187), ისრაელი	35 %	35 %
მიხეილ დავითიშვილი (პ/ნ 501301138086, 64N4875064), საქართველო-რუსეთის მოქალაქე	17.5 %	17.5 %
ლევან ნანიკაშვილი (პ/ნ EM127255), ბელგიის მოქალაქე	17.5%	17.5 %
ჯუმბერ ეგრისელაშვილი (პ/ნ 01020004669), საქართველოს მოქალაქე	30 %	30 %

„კომპანიის“ დირექტორი ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არის ლევან გორელაშვილი (პ/ნ 01012014308) განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20023403, 18/03/2020 19:47:47

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: საბითუმო ვაჭრობა სხვა ქიმიური პროდუქტებით, საბითუმო ვაჭრობა პარფიუმერიით და კოსმეტიკით.

1. კომპანია და მისი ოპერაციები (გაგრძელება):

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: „კომპანია“ ბიზნეს საქმიანობას ძირითადად საქართველოში ეწევა, საქართველო განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მოზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა ავლნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

2. მომზადების საფუძველი:

(ა) აღრიცხვისა და წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონცეფციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2015 წლის 1 იანვარი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(ბ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

(გ) მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები

ფინანსური ანგარიშგებაში ოპერაციებისა და მოვლენების მსს ფასს-ის მოთხოვნების დაცვით აღრიცხვა ხშირად საჭიროებს მსჯელობას, მათ შორის შეფასებების გაკეთებას. ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მსჯელობებისა და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება):

საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასებისას.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

(დ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ მიმდინარე აქტივები მის მიმდინარე ვალდებულებებს 811 ათასი ლარით აღემატება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნაგარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნაგარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტირების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულადი მუხლების კონვერტირების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან“. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსები:	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2,8677	3,2095
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2,8192	3,1553

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

სასარგებლო მომსახურების ვადები გაწერილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა - ნაგებობები	5-დან 20 წლამდე
მანქანა - დანადგარები	5-დან 20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-დან 10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 10 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ი) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

ა) სესხები და მოთხოვნები

სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, ხოლო შეფასება თავდაპირველი აღიარებისას ხდება გარიგების ფასით (თუ გარიგება ხდება საბაზრო პირობებით), მოიცავს გარიგების დანახარჯებს (აქტივებს ემატება და ვალდებულებებს აკლდება), გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შემდგომ შეფასებული იქნება რეალური ღირებულებით და დღევანდელი ღირებულებით (დისკონტირდება საბაზრო განაკვეთით), თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას. გაუფასურება გამოიყენება მხოლოდ თვითღირებულებით, ან რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის. გაუფასურების ტესტირება უნდა ჩატარდეს თუ არსებობს გაუფასურების რაიმე ნიშანი.

საანგარიშგებო თარიღისთვის უნდა მოიძებნოს მტიკიცებულება, რომ რეალური ღირებულება საბალანსოზე ნაკლებია: მომხმარებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები, გადაუხდელობა ან ვადაგადაცილება, ზენორმატიული სავაჭრო დათმობები, მომხმარებლის გაკოტრების, ან რეორგანიზაციის პროცესი.

გაუფასურების შეფასება ხდება ჯგუფურად, მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით. გაუფასურება აღიარდება დაუყოვნებლივ მოგება/ზარალში. ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა გაუფასურების რეზერვის აღიარება.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით, რომელიც მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შეფასება:

- სხვა საწარმოზე გაცემული გრძელვადიანი სესხი-მისაღები ფულადი სახსრების (ძირი და პროცენტი) დღევანდელი ღირებულებით;
- მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში- ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასით;
- მომხმარებელზე გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში- საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით, თუ იგი ცნობილი არ არის- მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

- სავალო ინსტრუმენტები-ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით;
- წილობრივი ინსტრუმენტები - რეალური ღირებულებით თუ ივაჭრება საჯაროდ, ან რეალური ღირებულება შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე;
- ყველა სხვა ინსტრუმენტი-თვითღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება სხვა მხარეზე;
- საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე. ასეთ დროს შეწყვეტს ძველი აქტივის აღიარებას და ცალ-ცალკე აღიარებს ყველა უფლებას და ვალდებულებას, რომელიც მას რჩება, ან წარმოიშობა აქტივის გადაცემისას.
- იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ხდება საბუღალტრო ჩანაწერებში გადაცემული აქტივის შენარჩუნება, ხოლო მიღებული ანაზრაულება აღიარდება ფინანსურ ვალდებულებად.

საწარმო არ ახდენს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას.

ii). ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შეფასება:

- ბანკიდან აღებული სესხი-გადასახდელი ფულადი სახსრების (ძირი და პროცენტი) დღევანდელი ღირებულებით;
- მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში- ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასით;
- ფინანსური ვალდებულება, რომელიც სრულად გადასახდელია მოთხოვნისთანავე (მაგ. არ არის განსაზღვრული დაფარვის თარიღი)-მოთხოვნისთანავე გადასახდელი სრული ოდენობით, დისკონტირების გარეშე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულებები კომპანიას არ გააჩნია.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლების, ან ცვლილების დროს მოხდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანულირება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო მოგებაში ან ზარალში აღიარდება დაფარული, ან სხვა მხარისთვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობა.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც აკლდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულია თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან.

საბანკო სესხების და ოვერდრაფტების დროს, საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

საწესდებო კაპიტალი

არსებობს ცნებები, როგორიცაა:

- „გაცხადებული საწესდებო კაპიტალი“;
- „საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანები“-ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსებამდე საჭირო შენატანების მოცულობა.

მაგრამ არსებითია ის, რომ სამეწარმეო კორპორატიული სამართალი ცნობს გაცხადებულ, ანუ დათქმულ საწესდებო კაპიტალს, რომელსაც დამფუძნებლები განსაზღვრავენ. ამ გაცხადებული, ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსება შესაძლებელია როგორც მყისიერად, ისე პერმანენტულად. ამიტომაც არის ცნება „ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანები“. ამ დროს, სანამ არ იქნება შევსებული საწესდებო კაპიტალი დათქმულ ნიშნულამდე, ანუ გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობამდე, შეზღუდული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სამეწარმეო სუბიექტები (შპს, სს) კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ შევსებული კაპიტალის ოდენობითა და დამფუძნებელ-პარტნიორები კი საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანების მოცულობით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებოდა წლის მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებული იყო იმავე, ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რასაც პირი უხდიდა საგადასახადო ორგანოებს, ან იღებდა მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება, ან ზარალი განისაზღვრებოდა პროგნოზით, თუ ფინანსური ანგარიშგება მტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენამდე.

გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობების აღრიცხვის მიზნით, გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლებოდა საბალანსო ვალდებულებათა მეთოდით. საწყისი აღიარების გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები საწარმოთა გაერთიანებისგან განსხვავებულ ტრანზაქციაში აქტივის, ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას დროებით სხვაობებზე არ აღიარებოდა, თუ ეს ტრანზაქცია, საწყისი აღიარებისას, არ მოქმედებდა არც ბუღალტრულ და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები აისახებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი, ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როცა უნდა მომხდარიყო დროებითი სხვაობების გაუქმება და გადატანილი საგადასახადო ზარალის ათვისება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისა და გადატანილი საგადასახადო ზარალით წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდო იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში გაუქმდებოდა და იარსებებდა საკმარისი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლებოდა გამოქვითვების გამოყენება.

გადატანილი საგადასახადო აქტივი და ვალდებულებები ურთიერთჩაითვლებოდა, როდესაც არსებობდა სამართლებრივად აღსრულებადი უფლება, პირს მიმდინარე საგადასახადო აქტივი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებიდან გამოექვითა, ხოლო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულებები დაკავშირებული იყო ისეთ მოგების გადასახადთან, რომელსაც არიცხავდა ერთი და იგივე საგადასახადო ორგანო ერთსა და იმავე დასაბეგრ ერთეულს, ან სხვადასხვა დასაბეგრ ერთეულებს, თუ არსებობდა განზრახვა, რომ მომხდარიყო ურთიერთჩათვლა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებაზე, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-ნი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0,85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოდების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით აგროსილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში გამოიყენა საგადასახადო ჩათვლა, ვინაიდან გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები განაწილდა დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა გადახდის დღის ან პერიოდის მიუხედავად. შედეგად, კომპანიამ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგებაში და ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობოდა დივიდენდების გადახდის შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული არ არის.

გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ხარჯებს, ან სხვა გადახდებს, რომლებიც გაწეულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების მიწოდებას, ან მომსახურების გაწევას, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. დაუყოვნებლივ იბეგრება ისეთ იურისდიქციებში მოქმედ პირებზე გადახდილი ავანსები, სადაც პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს, და ამგვარ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ასევე ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრეფერენციულ საგადასახადო გარემოში რეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებსა თუ მომსახურებაზე მისაღები საგადასახადო ფასდაკლებების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება, ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების, ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის, ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და კოდექსით დადაგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურების გაწევამდე მიღებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ავანსი, ან (ზ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისთვის.

დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბიუჯეტო აქტივის, ან საბიუჯეტო ვალდებულებების მუხლში.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანიას არ აქვს სასესხო ვალდებულებები.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება (ალბათობა $\leq 50\%$) და ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია (ვერ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმს).

პირობითი აქტივი არ აღიარდება აქტივად, თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს, მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით, ხოლო როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, ამ შემთხვევაში, ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ უნდა გამჟღავნდეს.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია (რომელიც აკმაყოფილებს ვალდებულების აღიარების კრიტერიუმს) პლიუს წამგებიანი კონტრაქტები.

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

კომპანია შემოსავლების და ხარჯის აღიარებას ახდენს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ამონაგების აღიარება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა სხვა ქიმიური პროდუქტებით, საბითუმო ვაჭრობა პარფიუმერიით და კოსმეტიკით (შენიშვნა 1). კომპანია საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული, ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევისთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

4. მსს ფასს -თან პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუწადებია ისინი წინა პერიოდებში. მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მსს ფასს-ზე გადასვლა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2015 წელი.

5. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების, მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

6. ძირითადი საშუალებები

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანები და დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და დაუმთ. მოწყ.	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2018 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	2	8	26	48	105	191	380
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	-	-	2	496	48	546
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-	-	-	(3)	(3)
გასვლის მომენტში	-	-	-	-	-	-	-
არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	(7)	(7)
2018 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	2	8	26	50	601	229	916
ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	-	(2)	(14)	(29)	(16)	(82)	(143)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(1)	(2)	(4)	(16)	(26)	(50)
გასვლის მომენტში	-	-	-	-	-	-	-
არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	7	7
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	-	(3)	(16)	(33)	(32)	(101)	(186)
2018 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	2	5	12	20	89	109	237
2018 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	2	4	9	17	569	128	729
2019 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	2	8	26	50	601	229	916
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	31	31
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-	-	-	(12)	(12)
გასვლის მომენტში	-	-	-	-	-	(26)	(26)
არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	2	8	26	50	601	222	909
ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	-	(3)	(17)	(33)	(32)	(101)	(186)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(1)	(2)	(3)	(15)	(38)	(58)
გასვლის მომენტში	-	-	-	-	-	26	26
არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	-	(4)	(19)	(36)	(47)	(113)	(219)
2019 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	2	4	9	17	569	128	729
2019 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	2	3	7	14	554	110	690

7. მარაგები

შპს პრემიუმ კლას (202 451 550)
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საქონელი საწყობში		
საწვავი	972	1 642
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:	10	4
	982	1 646

8. საბიუჯეტო ვალდებულება და აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საბიუჯეტო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული საბიუჯეტო ვალდებულება, რომელიც შეადგენს 66 ათას ლარს, წარმოადგენს გადასახდელ დღგ-ს პერიოდის ბოლოს.

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	1 832	1 729
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან ვალუტაში	57	53
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(27)	(27)
აქტიური მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ ლარებში	1	-
სულ:	1 863	1 755

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3	2
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	94	292
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	48	11
სულ:	145	305

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	162	418
მოწოდებ. ან მომსახურ. წარმოქმნილი ვალდებულებები ვალუტაში	1 940	2 067
გადასახდელი ხელფასი	(1)	3
სხვა ვალდებულებები	(6)	(4)
სულ:	2 095	2 484

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	7 020	7 547
სულ:	7 020	7 547

➤ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაყიდული / შეძენილი საქონლის თვითღირებულება	(4 353)	(4 397)
სულ:	(4 353)	(4 397)

13. საოპერაციო ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ცვეთა და ამორტიზაცია	(62)	(51)
არამატერიალური აქტივების ცვეთა	-	(1)
საწვავის ხარჯი	(81)	(86)
ავტომატების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(45)	(44)
სარეკლამო ხარჯი	(721)	(960)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(2)	(18)
იჯარა ლილო 1	(36)	(32)
სატერმინალო მომსახურება (ლილო 1)	-	(2)
იჯარა-კოლხეთი, ჯეოსერვისი, ლომიძე	(60)	(59)
კომუნალური ხარჯი	(17)	(14)
მივლინების ხარჯები	(10)	(6)
ფიზიკური პირების მომსახურება	(4)	(22)
რემონტის ხარჯები	-	(37)
მივლინების ხარჯები (საერთო ადმინისტრაციული)	(1)	(6)
სხვა საერთო ხარჯები	(182)	(31)
წუნდებული საქონლის ჩამოწერა	(31)	-
სულ:	(1 252)	(1 369)

14. არასაოპერაციო ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
არასაოპერაციო ზარალი	(12)	(1)
მოგების გადასახადის ხარჯი	(26)	(15)
მატერიალური დაზიანება და პენსიები	(2)	(33)
სხვა ჯარიმები	(3)	-
სულ:	(43)	(49)

15. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

ფინანსური შემოსავალი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საპროცენტო შემოსავლები	16	14
დადებითი საკურსო სხვაობა	525	550
სულ ფინანსური შემოსავალი	541	564
ფინანსური ხარჯი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(834)	(585)
სულ:	(834)	(585)

16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებს კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	145	305
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1 863	1 755
სულ ფინანსური აქტივები	2 008	2 060

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2 095	2 484
სასესხო ვალდებულება	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2 095	2 484

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

➤ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

➤ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შრომის ანაზღაურება	-	-
გაყიდვები	-	-
სულ:	-	-
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შრომის ანაზღაურება	245	202
სულ:	245	202

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2020 წლის 22 ოქტომბერს ხელმძღვანელობის მიერ.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი შემთხვევა ეცნობა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმის, რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.